# ნ ა ს ყ ი დ ო ბ ი ს   ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა
**N-___/___/___/___**

წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია 201_ წლის _____ ___________________ მხარეებს შორის:

1. **შპს „___________________“,** საიდენტიფიკაციო კოდი __________________, იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ________________________; წარმომდგენილი მისი დირექტორის _________ __________________ სახით, შემდგომში **„მყიდველად“** წოდებული;

2. **ფ/პ „___________________“,** საიდენტიფიკაციო კოდი __________________, იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, _______________________, შემდგომში **„გამყიდველად“** წოდებული;

ერთად წოდებული „მხარეები“, წინამდებარე ხელშეკრულებაზე (შემდგომში ხელშეკრულება) ხელის მოწერით ვთანხმდებით შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. გამყიდველი ყიდის, ხოლო მყიდველი ყიდულობს სხვადასხვა სახის საქონელს შემდგომში „ქონებად“ წოდებული;

1.2. ქონების ზუსტი დასახელება, კოდირება, რაოდენობა, ერთეულის ფასი და ჯამური ღირებულება ყოველი კონკრეტული პარტიის შეძენისას დაფიქსირებული იქნება მხარეთა მიერ საქართველოს კანონმდებლობის დაცვით შედგენილ სასაქონლო ზედნადებში ან/და მიწოდების მიღება-ჩაბარების აქტში, რომელიც დაერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

## 2. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

2.1. გამყიდველი ვალდებულია:

2.1.1. მყიდველს გადასცეს ნივთობრივი და უფლებრივი ნაკლისაგან თავისუფალი ქონება.

2.1.2. ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად მყიდველს მიაწოდოს ქონება და გადასცეს მასზე საკუთრებისა და შემთხვევითი დაღუპვის ან გაფუჭების რისკი.

2.1.3. მყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში მყიდველისაგან უკან დაიბრუნოს ქონება მთლიანად ან მისი გარკვეული რაოდენობრივი ნაწილი, თუ უკან დაბრუნებული ქონება ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლოა, როგორიც იყო თავდაპირველად მყიდველის მიერ გამყიდველზე მიწოდების მომენტში.

2.2. გამყიდველს უფლება აქვს:

2.2.1. მოითხოვოს მყიდველისაგან ქონების ღირებულების ხელშეკრულების პირობების შესაბამისად გადახდა.

2.2.2. მოითხოვოს მყიდველისაგან ქონების დროული მიღება.

2.2.3. მოთხოვოს მყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრული და ჯეროვანი შესრულება.

2.3. მყიდველი ვალდებულია:

2.3.1. ქონების ღირებულების გადახდა აწარმოოს ხელშეკრულების მესამე მუხლის შესაბამისად.

2.3.2. დროულად მოახდინოს ქონების მიღება.



მყიდველი ___________________ გამყიდველი ___________________

2.4. მყიდველს უფლება აქვს:
2.4.1. მოთხოვოს გამყიდველს ნივთობრივი და უფლებრივი ნაკლისაგან თავისუფალი ქონების გადაცემა.
2.4.2. მოთხოვოს გამყიდველს ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების თანახმად ქონების მიწოდება.
2.4.3. გამყიდველს უკან დაუბრუნოს ქონება მთლიანად ან მისი გარკვეული რაოდენობრივი ნაწილი, თუ უკან დაბრუნებული ქონება ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლოა, როგორიც იყო თავდაპირველად მყიდველის მიერ გამყიდველზე მიწოდების მომენტში.

**3. ქონების ღირებულება და გადახდის წესი**
3.1. ქონების ყოველი პარტიის ღირებულება ყოველი კონკრეტული პარტიის შეძენისას დაფიქსირებული იქნება მხარეთა მიერ საქართველოს კანონმდებლობის დაცვით შედგენილ სასაქონლო ზედნადებში ან/და მიღება-ჩაბარების აქტში.
3.2. ქონების ღირებულების გადახდა წარმოებს ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორებით, კონკრეტული პარტიის მიწოდებიდან ____ (_________________) თვის განმავლობაში.

**4. ქონებაზე საკუთრების უფლების გადასვლა**
4.1. გამყიდველიდან მყიდველზე ქონებაზე საკუთრების უფლება გადასვლა მოხდება სასაქონლო ზედნადების ან/და მიღება-ჩაბარების აქტის ორივე მხარის უფლებამოსილი პირების მიერ გაფორმების შემდგომ.
4.2. მყიდველის მიერ გამყიდველზე ხელშეკრულების 2.1.3 და 2.4.3 პუნქტების გათვალისწინებით, ქონების უკან დაბრუნებისას გამყიდველზე საკუთრების უფლების უკან გადასვლა მოხდება უკან დაბრუნების სასაქონლო ზედნადების ან/და უკან დაბრუნების მიღება-ჩაბარების აქტის ორივე მხარის უფლებამოსილი პირების მიერ გაფორმების შემდგომ.

**5. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მისი მოქმედების ვადა.**
5.1. ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულ შესრულებამდე.

**6. მხარეთა პასუხისმგებლობა**
6.1. წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ზიანისათვის მხარეები ერთმანეთის წინაშე პასუხს აგებენ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
6.2. გამყიდველი ათვითცნობიერებს, რომ ქონების გამყიდველზე მიწოდების შედეგად, გამყიდველს შესაძლებელია წარმოეშვას საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული საგადასახადო ვალდებულება, რაზედაც გამყიდველი პირადად არის პასუხისმგებელი.

**7. ფორს-მაჟორი**
7.1. მხარეები თავისუფლდებიან ვალდებულებების შესრულებისაგან ისეთი გადაულახავი ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომისას, როგორიც არის ომი, ხანძარი, ეპიდემია, სტიქიური უბედურებები ან სახელმწიფო ხელისუფლების გადატრიალება, რომელიც აფერხებენ ან შეუძლებელს ხდიან მხარეების მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობების განხორციელებას.



მყიდველი ____________________ გამყიდველი _____________________

7.2. მხარეები ვალდებულნი არიან ერთმანეთს აცნობონ ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობის შესახებ მათი დადგომიდან 24 საათის განმავლობაში. ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობა დამოწმებული უნდა იყოს შესაბამისი კომპეტენტური ორგანოს მიერ.
7.3. ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობის შემთხვევაში მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადა გადაიწევს აღნუშნული ფორს-მაჟორული გარემოებების მოქმედების ვადის შესაბამისად.

**8. სხვა დებულებები**
8.1. ხელშეკრულება შედგენილია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ყველა ის საკითხი რაც დარეგულირებული არ არის ხელშეკრულებით უნდა გადაწყდეს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ყველა დავა და უთანხმოება უნდა გადაწყდეს მოლაპარაკების გზით. მოლაპარაკებით შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში საქმე განიხილება საქართველოს სასამართლოში, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
8.2. მხარეებმა ნებისმიერი შეტყობინება უნდა განახორციელონ წერილობით ხელშეკრულებაში მითითებულ რეკვიზიტების შესაბამისად.
8.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ იდენტურ ეგზემპლიარად.

**9.მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები**

| **„მყიდველი“** | **„გამყიდველი“** |
|---|---|
| შპს – “ ” | ფ/პ – “ ” |
| ს/კ | ს/კ |
| SWIFT: | SWIFT: |
| IBAN: | IBAN: |
| დირექტორი: | |



მყიდველი ____________________ გამყიდველი ______________________